

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს Fashion Retail Georgia

2018 წლის 31 მარტი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	რჩორ! ოკმარკ ნოტ დეფინედ.
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	რჩორ! ოკმარკ ნოტ დეფინედ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტი თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T: + 995 322 604 406

შპს “Fashion Retail Georgia”-ს მფლობელებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული შპს “Fashion Retail Georgia”-ს (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და აღნიშნული თარიღით ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA Code”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

სხვა საკითხები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დაშვებებს.

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში კომპანია მრავალ ტრანზაქციას ახორციელებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა კომპანიებთან (მოიცავს საქონლის მიწოდებას, სესხებს წინასწარ განსაზღვრული გადახდის ვადების გარეშე). კომპანია მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ

ტრანზაქციებთან დაკავშირებულ სარგებელს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუცია).

2017 წლის 31 მარტისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) მომზადებული კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდირებული.

ჩვენი აზრი არ არის პირობითი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შექმნას და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა - გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონიერულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ესაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, გვემავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დაგვეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ქეთევან ღამბაშიძე

რეგისტრირებული აუდიტორი



2018 წლის 28 დეკემბერი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T: + 995 322 604 406

შპს “Fashion Retail Georgia”-ს მფლობელებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული შპს “Fashion Retail Georgia”-ს (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და აღნიშნული თარიღით ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პაუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პაუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA Code”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

სხვა საკითხები

ეურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დაშვებებს.

საოპერაციო საქმიანობის განმაფლობაში კომპანია მრავალ ტრანზაქციას ახორციელებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა კომპანიებთან (მოიცავს საქონლის მიწოდებას, სესხებს წინასწარ განსაზღვრული გადახდის ვადების გარეშე). კომპანია მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ

გრანზაქციებთან დაკავშირებულ სარგებელს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუცია).

2017 წლის 31 მარტისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) მომზადებული კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტებული.

ჩვენი აზრი არ არის პირობითი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა - გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ესაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეყვანოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიეუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის აღეკვატიურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გაგლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ქეთევან ღამბაშიძე

რეგისტრირებული აუდიტორი

2018 წლის 28 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი		2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი (არააუდირებული)	2016 წლის 1 აპრილი (არააუდირებული)
	შენიშვნა			
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	4	8,275	11,752	17,742
		8,275	11,752	17,742
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>				
მარაგები	5	17,296	20,419	23,194
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	4,912	4,926	4,824
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-	21
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	2,127	4,156	391
		24,335	29,501	28,430
სულ აქტივები		32,610	41,253	46,172
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>				
კაპიტალში კონტრიბუცია	8.1	48,045	50,074	44,976
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(30,118)	(25,169)	(15,695)
		17,927	24,905	29,281
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
სესხები	9	10,625	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	17	-	-	245
		10,625	-	245
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	3,318	16,332	16,646
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		740	16	-
		4,058	16,348	16,646
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		32,610	41,253	46,172

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2018 წლის 28 დეკემბერს.

ჯიმ მაქნიკოლას

ედუარდ ცაბაძე

რეგიონული დირექტორი

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი (არააუდირებული)	2016 წლის 1 აპრილი (არააუდირებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	8,275	11,752	17,742
		8,275	11,752	17,742
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	5	17,296	20,419	23,194
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	6	4,912	4,926	4,824
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-	21
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	2,127	4,156	391
		24,335	29,501	28,430
		32,610	41,253	46,172
სულ აქტივები				
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
კაპიტალში კონტრიბუცია	8.1	48,045	50,074	44,976
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(30,118)	(25,169)	(15,695)
		17,927	24,905	29,281
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	10,625	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	17	-	-	245
		10,625	-	245
მიმდინარე ვალდებულებები				
საეჭრო და სხვა ვალდებულებები	10	3,318	16,332	16,646
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		740	16	-
		4,058	16,348	16,646
		32,610	41,253	46,172
სულ კაპიტალი და ვალდებულებები				

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2018 წლის 28 დეკემბერს.

ჯიმ მაკნიკოლას

რეგიონული დირექტორი

ედუარდ ცაბაძე

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

ათასი ლარი		2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი (არააუდირებული)
	შენიშვნა		
შემოსავალი	11	35,619	35,403
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12	(25,174)	(22,949)
საერთო მოგება		10,445	12,454
სხვა შემოსავლები		3	2
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	13	(2,124)	(2,396)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(15,639)	(19,656)
საოპერაციო მოგება		(7,315)	(9,596)
ფინანსური შემოსავალი	15	128	137
ფინანსური ხარჯები	15	(488)	-
სხვა ფინანსური ხარჯები	16	2,734	(200)
ზარალი დაბეგვრამდე		(4,941)	(9,659)
მოგების გადასახადის ხარჯი/(დაბრუნება)	17	(8)	185
წლის ზარალი		(4,949)	(9,474)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი ზარალი		(4,949)	(9,474)

თანდართული შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	კაპიტალში კონტრიბუცია	გაუნაწილებელი მოგება/ (აკუმულირებული ზარალი)	სულ
2016 წლის 1 აპრილი (არააუდირებული)	-	44,976	(15,695)	29,281
ზარალი წლის განმავლობაში(არააუდირებული)	-	-	(9,474)	(9,474)
მთლიანი გაერთიანებული ზარალი (არააუდირებული)	-	-	(9,474)	(9,474)
კაპიტალში კონტრიბუციის ზრდა (შენიშვნა 8.1) (არააუდირებული)	-	5,098	-	5,098
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები (არააუდირებული)	-	5,098	-	5,098
2017 წლის 31 მარტი (არააუდირებული)	-	50,074	(25,169)	24,905
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(4,949)	(4,949)
მთლიანი გაერთიანებული ზარალი	-	-	(4,949)	(4,949)
კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება (შენიშვნა 8.1)	-	(2,029)	-	(2,029)
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	-	(2,029)	-	(2,029)
2018 წლის 31 მარტი	-	48,045	(30,118)	17,927

თანდართული შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი

	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი (არააუდირებული)
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
ზარალი წლის განმავლობაში	(4,949)	(9,474)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,689	3,370
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	1,702
ძირითადი საშუალების გაუფასურება/(გაუფასურების კორექტირება)	(426)	1,797
საპროცენტო ხარჯი	488	-
მოგების გადასახადის ხარჯი/(დაბრუნება)	8	(185)
მარაგების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(177)	680
ფინანსური შემოსავალი	(128)	(137)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(2,734)	200
<i>საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე</i>	<i>(5,229)</i>	<i>(2,047)</i>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	14	(102)
მარაგების ცვლილება	3,300	2,095
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	(10,212)	(321)
<i>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>(12,127)</i>	<i>(375)</i>
<i>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(513)	(1,037)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,727	158
მიღებული პროცენტები	128	137
<i>წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<i>1,342</i>	<i>(742)</i>
<i>ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</i>		
მიღებული სესხები	15,937	-
გადახდილი სესხები	(4,763)	-
კაპიტალში კონტრიბუციიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,785	5,098
კაპიტალში კონტრიბუციის განაწილება	(6,814)	-
<i>წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან</i>	<i>9,145</i>	<i>5,098</i>
წმინდა ფულის მატება/(კლება)	(1,640)	3,981
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე	(389)	(216)
ფული საბანკო ანგარიშებსა და ხელზე პერიოდის დასაწყისში	4,156	391
ფული საბანკო ანგარიშებსა და ხელზე პერიოდის ბოლოს	2,127	4,156

თანდართული შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “Fashion Retail Georgia” არსებობს 2011 წლის აპრილიდან. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს “Retail Group Georgia LLC”, რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველო.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ცნობილი ბრენდების ტანსაცმლითა და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა მაღაზიების საშუალებით, რომლებიც მდებარეობს თბილისის სავაჭრო ცენტრებსა და მოღვაწეობს.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: ძველი თბილისის რაიონი, თელავის ქ. №20, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ოფისის მისამართი: ქეთევან წამებულის გამზირი 50/18, თბილისი, საქართველო.

2 შედეგის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, გამოშვებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ცალკე წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია IAS 27 ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. გარდა კომპანიისა და მისი შვილობილების 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებისა, რომელიც მომზადებულია IFRS 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, ცალკე წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მოთხოვნით მისი შემდგომი გამოქვეყნების მიზნით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოპოვება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქეთევან წამებულის გამზირი 50/18 თბილისი, საქართველო.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელთა ღირებულებაც განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (წინააღმდეგ შემთხვევაში აღვნიშნავთ), რადგან ხელმძღვანელობის აზრით მოცემული ვალუტა უფრო მეტად გამოსაყენებელია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგავლებულია უახლოეს ათას ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებსა და ხარჯებსზე

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედული ფასს და ფასის-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2017 წელს, მათ არ აქვთ მატერიალური ზეგავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახედული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ბასს 7-ში, ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ინიციატივა ინფორმაციის გამჟღავნების სფეროში

ბასს 7-ის შესწორების მიხედვით, რომელიც ძალშია 2017 წლის 1 იანვრიდან, საწარმომ ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვადებულებებში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია ფულადი ან არაფულადი ნაკადებით, რომლებიც მოიცავს ასევე ქვეკატეგორიებს.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერჯერობით არ მიუღია კომპანიას.

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და შესაბამისად კომპანიას ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება მიღებულ იქნება კომპანიის საანგარიშო პოლიტიკაში პირველი პერიოდისთვის, ცვლილებების ძალაში შესვლის დღიდან. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ შეეხება ფინანსურ ანგარიშგებას. გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები უკვე გამოქვეყნებულია, მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ ისინი იქონიებენ მატერიალურ გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტებთან* დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 *ფინანსური ინსტრუმენტები*. აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი განსაზღვრება “მოსალოდნელი ზარალი” ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე გვთავაზობს ახალ აღრიცხვას ჰეჯირებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. ახალი სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით, გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისი ან 2018 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდი.

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას რეალიზაციის აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18 *ამონაგებს*, ბასს 11 *სამშენებლო კონტრაქტებს* და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი საუბრობს კონტროლთან დაკავშირებულ რეალიზაციის მოდელზე და იძლევა ისეთ დეტალებზე განმარტებებს, რაც სხვა ფასს-ებში არ იყო აქამდე დაფარული. მათ შორის, როგორ აღირიცხოს ბუღალტრულად მრავალპროფილიანი

ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლების დაბრუნებული უფლებები, მომწოდებლების გამოსყიდული ოფციები და სხვა კომპლექსური საკითხები.

ფასს 15 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიის ხემძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 აწესებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოითხოვს იჯარა აღრიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი “გამოყენების უფლებით” და იჯარის ვალდებულება.

ფასს 16 ასევე:

- ცვლის იჯარის განმარტებას;
- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღვრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები, როგორებიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და ოპციის პერიოდი;
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალფასიანი აქტივების იჯარებზე;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- ძირითადად იწარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას;
- გვაცნობს ასხნა განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ფასს 15 *შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან*. ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია ამ ცვლილების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

IFRIC 22 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა

კონვერტაციისას საჭირო გაცვლით კურსს, როდესაც დაკავშირებულ აქტივებთან, ხარჯებთან ან შემოსავალთან მიმართებით ხდება გადახდა ან თანხის წინასწარი მიღება.

IFRIC 22-ის მიხედვით, დაკავშირებული აქტივის, ხარჯის, შემოსავლის ან მისი ნაწილის თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული გაცვლითი კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს თანხის გადახდით ან წინასწარი მიღებით წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას.

თუ კომპანიას აქვს მრავალჯერადი გადახდის ან წინასწარ მიღების ოპერაციები, კომპანიამ ოპერაციის თარიღი უნდა განსაზღვროს ყოველ ასეთი ტრანზაქციაზე ინდივიდუალურად.

ინტერპრეტაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისთვის. ნებადართულია ადრეული გამოყენება.

წლიური განახლებები 2014-2016

2014-2016 წლის განახლებების მიხედვით უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა სხვადასხვა ფასს-ებში. კომპანიასთან დაკავშირებული ცვლილებები შეჯამებულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების პირველადი წარდგენა ფასს 1-ის მიხედვით

ფასს 1 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან შემდგომი პერიოდისთვის.

IFRIC 23 მოგების გადასახადთან დაკავშირებული გაურკვეველობა

IFRIC 23 იძლევა მითითებებს, თუ როგორ უნდა აისახოს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვეველობის შედეგები IAS 12-ის შესაბამისად, კერძოდ გაურკვეველი საგადასახადო მიდგომები უნდა განიხილებოდეს ცალკე, ინფორმაცია საგადასახადო ორგანოთა წარმომადგენლების დაკვირვების შედეგების შესახებ, ისეთი ცენზების განსაზღვრებები, როგორებიცაა დასაბუთი მოგება (საგადასახადო ზარალი), საგადასახადო

ბაზა, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტები, საგადასახადო განაკვეთები და ფაქტებისა და მოვლენების ცვლილებით გამოწვეული შედეგები. ინტერპრეტაცია ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისთვის. ნებადართულია ადრეული გამოყენება.

3 გუბალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე იხილეთ შენიშვნა 26-ში.

შენიშვნა 2.5-ში იხილეთ სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემული იყო, მაგრამ ჯერჯერობით არ იყო ეფექტური და არ გამოყენებულა ადრეულად კომპანიის მიერ.

ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად წარმოდგენილია ქვემოთ.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 მარტს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.4144 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9762 ლარს (2017 წლის 31 მარტი: ერთი ამერიკული დოლარი 2.4452 ლარი და ერთი ევრო 2.6266 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწვიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ხარჯები დაკავშირებული იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობასთან კაპიტალიზირდება ცალკე აქტივად და იცვითება აქტივის სასიცოცხლო მომსახურების ვადასა და საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სატრანსპორტო საშუალებები	-	25%
ავეჯი	-	10-12.5%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	12.5%
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	-	10-12.5%.

3.4 იჯარა

ვასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი ღირებულების დაწვების თარიღისთვის აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევ გადახდების თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსური იჯარაზე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის კომპანიას. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორებიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწვევისთანავე.

3.5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადვილზე მიტანასთან.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან ვალდებულება გაუქმდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები (გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც ბალანსში სამართლიანი ღირებულებით არის აღიწესული, ხოლო მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება), თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აგრეთვე ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში აღიარებით
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები
- ვადიანი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიას მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ მისი შედეგი შესაძლებელია აისახოს როგორც მოგება-ზარალში, ასევე პირდაპირ კაპიტალზე. იხილეთ შენიშვნა 19.2 კომპანიის ფინანსური აქტივების კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით.

ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ წელიწადში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი” ან “ფინანსური შემოსავალი”, გარდა სავაჭრო მოთხოვნების საექსპოზიციო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით.

i სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექვივალენტებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი წარდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი

გაკორტეზა ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობით. ამ მიზნებისთვის მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება სავაჭრო მოთხოვნისთვის შესაბამისი თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ის მოთხოვნები, რომლებისგანაც თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 19.2-ში.

ii სასესხო ვალდებულებები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება მოგება/ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სესხი მესაკუთრეებისგანაა აღებული. ამ შემთხვევაში, განსხვავდება აღიარდება საკუთარ კაპიტალში, დამატებითი კაპიტალის სახით. შემდგომ სესხები აღიარდება ამორტიზებადი ღირებულებით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, თვითღირებულებასა და გამოსყიდვად ღირებულებას შორის სხვაობა აისახება მოგება/ზარალში. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო ხარჯი. გამონაკლისს წამოადგენს სესხის ის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაზღვრულ შესყიდვასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან, რომელიც კლასიფიცირდება როგორც კვალიფიციური აქტივი.

iii სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.7 გაუფასურება

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვალის განსაზღვრა, ამ აქტივის არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღარბეჭდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ არის გადაფასებული მდგომარეობით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური აქტივები, გარდა მოგება-ზარალზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული აქტივებისა, ფასდება გაუფასურების ინდიკატორების გამოსაგლეხად. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის სამომავლო ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას.

ამორტიზირებული ღირებულებით წარმდგენილი ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა საეჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი მატება შემდგომი გაუფასურებით, უნდა აღიარდეს კაპიტალში.

3.8 კაპიტალი

სააქციო კაპიტალი განისაზღვრება გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით.

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

მეკავშირებთან დაკავშირებული ტრანზაქციები პირდაპირ აღიარდება კაპიტალში.

3.9 მოგების გადასახადი

მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი მოდელის (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%—ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%—ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა.)

დივიდენდის განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიდის დივიდენდის განაწილება ხდება ან გადახდილია თუ არა დივიდენდი. გადასახადის განაკვეთი არის ნეტო თანხის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებები რომლებიც წარმოიშვა დივიდენდების განაწილებისას და მათი გამოცხადებისა და გადახდის თარიღები მოქცეულია 2017 წელში, თუმცა გაიცემა 2016 წლამდე აკუმულირებული მოგებიდან, იბეგრება წინა მოდელის შესაბამისად.

აღნიშნული ცვლილების გამო, აღარ არსებობს დროებითი სხვაობა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო ბაზას შორის. აქედან გამომდინარე, 2017 წლის 1 იანვრიდან, აღარ წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

გადავადებული მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრამდე

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებულია დასაბეგრი დროებითი განსხვავებებით, რომლებიც უკავშირდება შეიღობილ კომპანიებსა და ასოციაციებში ინვესტიციებსა და უმცირესობის წილს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანიას შეუძლია დროებითი განსხვავების შესწორებაზე კონტროლი და სავარაუდოა, რომ დროებითი განსხვავება არ შესწორდება უახლოეს მომავალში. გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებიც წარმოიქმნება ამგვარ ინვესტიციებსა და წილებთან დაკავშირებული დროებითი განსხვავებებისაგან, არის აღიარებული მხოლოდ საკმარისი დასაბეგრი მოგების რაოდენობამდე. ასევე, მოსალოდნელი უნდა იყოს მათი დაბრუნება ახლო მომავალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივი რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

3.10 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ნებადართული სავაჭრო ფასდათმობების გათვალისწინებით.

შემოსავალი შემცირებულია მომხმარებლების სავარაუდო დაბრუნებებისა და შეღავათების შესაბამისად.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისთვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროით პრინციპზე დაყრდნობით დარჩენილი ძირითადი თანხისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც აქტივის სასიცოცხლო დროის განმავლობაში მისი გამოყენებიდან მისაღებ მომავალ ფულად ნაკადებს აღისკონტირებს წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	იჯარით აღებული ქონების რემონტი	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილ ობა	სატრანს- პორტო საშუალე- ბები	კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა	სულ
<i>ღირებულება</i>					
2016 წლის 1 აპრილი	13,578	8,781	-	1,392	23,751
შემოსვლა	502	183	121	231	1,037
გასვლა	(3,523)	-	-	-	(3,523)
2017 წლის 31 მარტი	10,557	8,964	121	1,623	21,265
შემოსვლა	427	17	-	69	513
გასვლა	(2,319)	-	-	-	(2,319)
2018 წლის 31 მარტი	8,665	8,981	121	1,692	19,459
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					
2016 წლის 1 აპრილი	3,964	1,560	-	485	6,009
წლის ცვეთა	1,635	1,476	30	229	3,370
გასვლის შედეგად კორექტირება	(1,663)	-	-	-	(1,663)
გაუფასურება	431	1,335	31	-	1,797
2017 წლის 31 მარტი	4,367	4,371	61	714	9,513
წლის ცვეთა	1,011	1,383	37	258	2,689
გასვლის შედეგად კორექტირება	(592)	-	-	-	(592)
გაუფასურება	-	(426)	-	-	(426)
2018 წლის 31 მარტი	4,786	5,328	98	972	11,184
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
2017 წლის 31 მარტი	6,190	4,593	60	909	11,752
2018 წლის 31 მარტი	3,879	3,653	23	720	8,275

ცვეთის ხარჯი აღიარდება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისა და ავეჯის ზრდა წარმოადგენს დანახარჯებს ახლად გახსნილ მაღაზიებში.

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის შემცირება უკავშირდება მაღაზიების დახურვას. მანამდე აქტივად აღიარებული, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობაზე გაწეული დანახარჯები, სრულად ჩამოიწერა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე.

2017 წლის 31 მარტისთვის კომპანიის ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა აღჭურვილობა, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა, რომელიც მიეკუთვნება ცალკეულ მაღაზიებს გაუფასურებულია. ასეთი მაღაზიების ჩამონათვალს მიეკუთვნება:

- მაღაზიები, რომლებიც დაიხურა ანგარიშგების შედგენის შემომ თარიღში.
- მაღაზიები, რომელთა დახურვასაც ხელმძღვანელობა ანგარიშგების შედგენის შემდგომ უახლოესი 12 თვის მანძილზე გეგმავს.

- მაღაზიები, რომელთა საქმიანობის ეფექტიანობაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება დაგეგმილს და ხელმძღვანელობის თვალსაზრისით არც მისი გაუმჯობესებაა მოსალოდნელი უახლოესი 3 წლის განმავლობაში.

მაღაზიების ჩამონათვალი, რომელიც განიცდის ზარალს გაუფასურებიდან წარმოდგენილია ქვემოთ:

მაღაზია	ადგილმდებარეობა	
Cortefiel	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა
Miss Selfridge	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა
Quiz	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა
Aldo	ადმაშენებლის გამზირი, თბილისი	დაიხურა 2017 წლის განმავლობაში
Blanco	ადმაშენებლის გამზირი, თბილისი	დაიხურა 2017 წლის განმავლობაში
Blanco	“ისთ ფონით მოლი”	დაიხურა 2017 წლის განმავლობაში
Blanco	“თბილისი მოლი”	დაიხურა 2017 წლის განმავლობაში
Charles & Keith	ადმაშენებლის გამზირი, თბილისი	დაიხურა 2017 წლის განმავლობაში
Clarks	ადმაშენებლის გამზირი, თბილისი	დაიხურა 2017 წლის განმავლობაში
F&F	ადმაშენებლის გამზირი, თბილისი	დაიხურა 2017 წლის განმავლობაში
FG4	“თბილისი მოლი”	დაიხურა 2017 წლის განმავლობაში
Inc	“ისთ ფონით მოლი”	დაიხურა 2017 წლის განმავლობაში

გაუფასურების ზარალი, დაკავშირებული ცალკეული კატეგორიის ძირითად საშუალებასთან, მაღაზიების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	იჯარით აღებული ქონების რემონტი	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა	სულ
Cortefiel	225	132	-	357
Miss Selfridge	101	116	2	219
Quiz	105	38	1	144
Aldo	-	95	3	98
Blanco	-	16	2	18
Blanco	-	139	7	146
Blanco	-	226	5	231
Charles & Keith	-	4	2	6
Clarks	-	45	2	47
F&F	-	1	1	2
FG4	-	71	-	71
Inc	-	452	6	458
	431	1,335	31	1,797

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა ისტორიული ღირებულებით 1,135 ლარი, რომელიც დაკავშირებულია დახურულ მაღაზიებთან, სრულად ჩამოიწერა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე და ნაჩვენებია როგორც აქტივის გასვლა 2017 წლის 31 მარტისთვის.

იჯარით აღებული შემცირებული ეფექტიანობის მქონე მაღაზიების კეთილმოწყობა სრულადაა გაუფასურებული და შეადგენს ნულს, რადგან მას არც სამართლიანი და არც გამოყენების ღირებულება არ გააჩნია.

გაუფასურებული აქტივების ჩამონათვალში არსებული სხვა აქტივების ღირებულება განისაზღვრება როგორც სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. სამართლიანი ღირებულებების შესახებ იხილეთ შენიშვნა 21.

აღდგენითი ღირებულებების ჩამონათვალი თითოეული ერთეულისთვის 2017 წლის 31 მარტისთვის მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	სულ
Cortefiel	62
Miss Selfridge	62
Quiz	23
Aldo	57
Blanco	14
Blanco	94
Blanco	126
Charles & Keith	13
Clarks	30
F&F	-
FG4	33
Inc	232
	746

2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით სხვა დამატებით გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია. 426 ათასი ლარის ოდენობის გაუფასურების ზარალი, რომელიც მანამდე აღიარებულ იქნა ცალკეული ავეჯისა და საოფისე აღჭურვილობისთვის, ამოტრიალდა, რადგან მაღაზიების გახსნის მიზნით ისინი გაიტანეს საწყობებიდან. გახსნილი მაღაზიების საქმიანობის ეფექტიანობის საფუძველზე კი გაზრდილია მათი გამოყენების ღირებულება.

5 მარაგები

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
გასაყიდად არსებული ტანსაცმელი და აქსესუარები	16,781	20,391
ძნელად გაყიდვადი და მოძველებული მარაგების რეზერვი	(503)	(680)
საქონელი გზაში	422	-
შესაფუთი მასალები	596	708
	17,296	20,419

2018 წლის 31 მარტისთვის შემცირდა კომპანიის მიერ თავდაპირველად აღიარებული დანახარჯები 177 ათასი ლარის ოდენობით, დაკავშირებული ძნელად გაყიდვადი მარაგების ჩამოწერასთან. კომპანიის მიერ ძნელად გაყიდვადი მარაგების გაყიდვის მიზნით მოწყობილი საცალო გაყიდვებისა და ფასდაკლებების საფუძველზე კომპანიამ თავიდან განსაზღვრა ასეთი მარაგებისთვის რეზერვის ოდენობა.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
სავაჭრო მოთხოვნები	369	511
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(123)	(123)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	246	388
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	33	51
წინასწარ გადახდილი იჯარა	336	312
წინასწარ გადახდილი დაზღვევა	1	1
წინასწარი გადახდები ბიუჯეტში	4,220	4,174
სხვა	76	-
	4,912	4,926

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

მოთხოვნების დაფარვა ხდება 365 დღის განმავლობაში, რადგან წარსული გამოცდილების საფუძველზე კომპანიის მიერ 365 დღეს ვადაგადაცილებული მოთხოვნები მიჩნეულია უიმედოდ. 2018 წლის 31 მარტისთვის 123 ათასი ლარის (2017 წლის 31 მარტისთვის: 123 ათასი ლარი) მიმდინარე ღირებულების მქონე ინდივიდუალური მოთხოვნები გაუფასურებულია და უზრუნველყოფილია რეზერვის საფუძველზე. მოთხოვნების ხანდაზმულობა თანდართულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
6 თვეზე ნაკლები	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	-	-
1 წელზე მეტი	123	123
	123	123

საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება იხილეთ ქვემოთ:

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
ბალანსი წლის დასაწყისში	123	123
საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირება	-	-
საექვო მოთხოვნების რეზერვის ზრდა წლის განმავლობაში	-	-
ბალანსი წლის ბოლოს	123	123

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების დაბრუნებითობას განსაზღვრავს კრედიტის გაცემიდან საანგარიშგებო პერიოდის თარიღამდე დებიტორის მიერ განხორციელებული ჩარიცხვების საფუძველზე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია მომხმარებელთა კატეგორიის ფართო დიპაზონისა და ერთმანეთთან შეუსაბამობის გამო. შესაბამისად, ხელმძღვანელობის მოსაზრებით, არ არსებობს დამატებით სავალ ანარიცხის შექმნის საჭიროება საექვო ვალების დასაფარად.

წინასწარი გადახდები ბიუჯეტში მოიცავს შემდეგს:

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,210	4,174
ქონების გადასახადი	10	-
	4,220	4,174

საეჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 20-ში.

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
ფული საღაროში	104	114
საბანკო ანგარიშები	2,023	4,042
	2,127	4,156

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 20-ში.

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 შენატანები კაპიტალში

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში კომპანია მრავალ ტრანზაქციას ახორციელებს სხვა კომპანიებთან საერთო კონტროლის ქვეშ. ამ ტრანზაქციებში ძირითადად იგულისხმება აღჭურვილობითა და მაღაზიების მოწყობილობებით უზრუნველყოფა იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც გადახდების პირობები და ვადები განსაზღვრული არაა, ან შეიძლება განისაზღვროს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

გარდა ამისა, კომპანია მაკონტროლებელი მხარის მხრიდან იღებს დამატებით ფულად სახსრებს საპროცენტო განაკვეთის არმქონე, არაუზრუნველყოფილი დაფინანსების სახით, განუსაზღვრელი გადახდის ვადის, პირობებისა და გრაფიკისა. კომპანიის მიერ ჯერ არ განხორციელებულა და არც უახლოეს მომავალში იგეგმება ამ მიღებული ფულადი სახსრების უკან დაბრუნება.

კომპანია მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს, როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ამონაგებს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუციის სახით). ხოლო ფულისა და მისი ექვივალენტების ისეთი გადახდები, რომლებიც გულისხმობს მანამდე კაპიტალში შენატანის სახით არსებული საქონლისა და მომსახურების მიწოდებას, აღირიცხება კაპიტალის დებეტში (კაპიტალის კონტრიბუციის შემცირებას).

9 სქესები

ათასი ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
არაუზრუნველყოფილი სქესები				
დაკავშირებული მხარეებისგან	-	-	10,625	-
	-	-	10,625	-

საბანკო სქესების სამართლიანი ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით 8.5%-ად. (2016: 0%) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7.62%-ს.

სქესი შპს “Fashion Retail Georgia”-ს მიერ მიღებულია დაკავშირებული მხარის – შპს “Logistics Fashion Trading DWC”-სგან. სქესის ვადა შეადგენს 5 წელს, ნომინალური საპროცენტო განაკვეთი კი 1%-ს.

სქესები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 20-ში.

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
სავაჭრო ვალდებულებები	2,869	14,939
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	111	147
ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე	338	1,246
	3,318	16,332

ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე მოიცავს შემდეგს:

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
საბაჟო გადასახადი	-	184
საშემოსავლო გადასახადი	338	983
ქონების გადასახადი	-	79
	338	1,246

სავალუტო რისკების შესახებ იხილეთ შენიშვნა 20-ში.

11 შემოსავლები

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
შემოსავალი ადგილობრივი გაყიდვებიდან	32,637	32,873
ექსპორტი	2,982	2,530
	35,619	35,403

12 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
მარაგების შესყიდვის ღირებულება	25,036	22,790
როიალტი	138	159
	<u>25,174</u>	<u>22,949</u>

13 დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
შიდა სატვირთო და სადისტრიბუციო ხარჯები	301	44
სარეკლამო და გაყიდვების ხელშეწყობის ხარჯები	1,656	1,665
საკრედიტო ბარათის საკომისიო	160	167
მაღაზიის მოსართავი მასალები	1	38
შესაფუთი მასალები	-	482
სხვა	6	-
	<u>2,124</u>	<u>2,396</u>

14 ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
იჯარა	4,344	6,845
შეიღობილი კომპანიებიდან მიღებული მენეჯერული მომსახურების შემოსავლები	1,329	1,487
თანამშრომელთა ანაზღაურება	1,991	2,307
ცვეთა და ამორტიზაცია	2,689	3,370
ბანკის საკომისიო	3,141	133
საკომუნიკაციო და კომუნალური დანახარჯები	454	583
საოფისე ხარჯი	175	234
მივლინება და ტრანსპორტირება	7	3
დაზღვევა	106	144
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	122	149
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	1,702
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	(426)	1,797
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(177)	680
სხვა ხარჯები	1,884	222
	<u>15,639</u>	<u>19,656</u>

15 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	488	-
სულ ფინანსური ხარჯი	488	-
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებიდან	128	137
სულ ფინანსური შემოსავალი	128	137
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(360)	137

16 სხვა ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
მოგება/ზარალი საკუროს სხვაობიდან:		
სესხებსა და მოთხოვნებზე	(389)	16
ფინანსურ ვალდებულებებზე ამორტიზებული ღირებულებით	3,123	(216)
	2,734	(200)

17 მოგების გადასახადის ხარჯი/(დაბრუნება)

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
მიმდინარე გადასახადი	8	60
გადავადებული გადასახადის კორექტირება	-	(245)
გადავადებული გადასახადი	-	-
	8	(185)

გადავადებული მოგების გადასახადის ცვლილება წლის განმავლობაში მოცემული ქვემოთ:

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
ბალანსი წლის დასაწყისში	-	(245)
მოგება/ზარალზე დაკრედიტება	-	-
გადავადებული გადასახადის კორექტირება	-	245
ბალანსი წლის ბოლოს	-	-

გადავადებული მოგების გადასახადი 2017 წლის 31 მარტისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2016 წლის 01 აპრილი	აღიარებული მოგება/ ზარალზე	2017 წლის 31 მარტი
<i>გადავადებული საგადასახადო აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25	(4)	21
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	-	18
	43	(4)	39
<i>გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები</i>			
ძირითადი საშუალებები	288	(459)	(171)
	288	(459)	(171)
გადავადებული გადასახადი	(245)	455	210
გადავადებული გადასახადის კორექტირება	-	(210)	(210)
წმინდა პოზიცია-გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	(245)	245	-

ცვლილება მოგების გადასახადში

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც გავლენას ახდენს მოგების გადასახადის გაანგარიშებაზე (იხ. შენიშვნა 3.9). აღნიშნული ცვლილების შედეგად 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). შესწორებული საგადასახადო კონცეფციის თანახმად, არ არსებობს დროებითი სხვაობა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო საფუძველს შორის.

ცვლილებამ დაუყოვნებელი გავლენა მოახდინა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც მიეკუთვნება წინა პერიოდებს. კომპანიამ ახლიდან გადათვალა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მთლიანად გაანულა გამოუყენებელი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

18 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

18.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

ძირითადი საშუალებების აღდგენითი ღირებულებები

ხელმძღვანელობამ შეაფასა რა ძირითადი საშუალებების აღდგენითი ღირებულებები, აღიარა გაუფასურების ზარალი, რომელსაც წარმოადგენს სხვაობა აქტივების მიმდინარე ღირებულებასა და აღდგენით ღირებულებას შორის. შეფასებები ძირითადად ეყრდნობა დაშვებებს ცალკეული მაღაზიის საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ, კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას და სხვა. (იხილეთ შენიშვნა 4). თუ რეალური შედეგები განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

18.2 სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაშვებები

კაპიტალში კონტრიბუცია

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში კომპანია მრავალ ტრანზაქციას ახორციელებს სხვა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებთან. ამ ტრანზაქციებში ძირითადად იგულისხმება აღჭურვილობითა და მაღაზიების მოწყობილობებით უზრუნველყოფა იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც გადახდების პირობები და ვადები განსაზღვრული არაა ან შეიძლება განისაზღვროს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

გარდა ამისა, კომპანია მაკონტროლებელი მხარის მხრიდან დამატებით არაუზრუნველყოფილი დაფინანსების სახით იღებს საპროცენტო განაკვეთის არმქონე, განუსაზღვრელი გადახდის ვადის, პირობებისა და გრაფიკის მქონე ფულად სახსრებს. კომპანიის მიერ ჯერ არ განხორციელებულა და არც უახლოეს მომავალში იგეგმება ამ მიღებული ფულადი სახსრების უკან დაბრუნება.

კომპანია მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ბენეფიტს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუციის სახით).

2018 წლის 31 მარტისთვის, კომპანიამ მიიღო სესხი დაკავშირებული მხარისგან (შენიშვნა 9). სხვაობა, სესხის ნომინალურ ღირებულებასა და 8.5%-ით დისკონტირებულ სესხის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდა როგორც კაპიტალში კონტრიბუცია (კაპიტალის ელემენტი).

18.3 მნიშვნელოვანი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, მომავალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დაშვებების თანახმად:

- ხელმძღვანელობის მხრიდან უახლოესი 12 თვის განმავლობაში მოძველებული მარაგების გაყიდვის მიზნით გატარებული ღონისძიებები, რაც მათი საწყობებიდან სცალო გაყიდვებს გულისხმობს, წარმატებული იქნება.
- საკონტროლო პაკეტის მფლობელების მხრიდან არ მოითხოვება გაწეული ფინანსური დახმარების სრულად და დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება, რომელიც თავდაპირველად კომპანიამ საპროცენტო განაკვეთის არმქონე ხესხის სახით მიიღო, განუსაზღვრელი ვადით, პირობებითა და დაფარვის გრაფიკით.(იხ. შენიშვნა 8.1)

19 ფინანსური ინსტრუმენტები

19.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

19.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
სესხები და მოთხოვნები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	246	388
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	2,127	4,156
	<u>2,373</u>	<u>4,544</u>

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით:		
სესხები	10,625	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,980	15,086
	<u>13,605</u>	<u>15,086</u>

20 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროს სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები კომპანიას წარმოექმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში, ევროსა და ბრიტანულ ფუნტში.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში საანგარიშგებო წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული

2018 წლის 31 მარტი	დოლარი	ევრო	ბრიტანული ფუნტი
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული	348	540	108
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	89	48	40
	437	588	148
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	734	-	-
სესხები	10,625	2,927	237
	11,359	2,927	237
წმინდა პოზიცია	(10,922)	(2,339)	(89)

ერთეული

2017 წლის 31 მარტი	დოლარი	ევრო	ბრიტანული ფუნტი
<i>ფინანსური აქტივები</i>			
ფული	478	655	304
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	324	-	-
	802	655	304
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	981	1,239	205
	981	1,239	205
წმინდა პოზიცია	(179)	(584)	99

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15% კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2017: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და წლის ბოლოს აკორექტირებს მათ 15%-იანი (2017: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარის, ევროს და ფუნტის მიმართებაში 15%-ით (2017: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა		ფუნტის გავლენა	
	2018	2017	2018	2017	2018	2017
მოგება/ზარალი	1,638	27	351	88	13	(15)

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებზე. მიუხედავად ამისა, მინეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკის პოზიციას.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაივრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ექსპოზიცია ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებების სახით წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
მოთხოვნები	246	388
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,023	4,042
	2,269	4,430

რეპორტის გამოშვების თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში, რადგან ისინი დაკავშირებული იყო დაკავშირებულ მხარეებთან.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

ვ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2018 წლის 31 მარტი

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		7.62%	
6 თვეზე ნაკლები	2,980	-	2,980
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	15,341	15,341
	2,980	15,341	18,321

2017 წლის 31 მარტი

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)			
6 თვეზე ნაკლები	15,086	-	15,086
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
	15,086	-	15,086

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფული და მოთხოვნები აღემატება ფულად გადახდებზე არსებულ მოთხოვნებს.

21 სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

21.1 არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

იმ აქტივების სავარაუდო სამართლიანი ღირებულებები, რომლებიც განიცდიდნენ გაუფასურებას 2017 წლის 31 მარტისთვის, კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 ან მე-3 დონეზე.

ინდივიდუალური აქტივების სამართლიანი ღირებულება გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით განისაზღვრება საბაზრო მეთოდით, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეების გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში, მოცემული შენატანები განისაზღვრება, როგორც “იძულებითი გაყიდვები”, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი აქტივებისთვის აქტიური ბაზარი ან მონაწილეთა სურვილი არ არსებობს. “იძულებითი გაყიდვების” შეფასების ძირითადი მიდგომები მოიცავს შემდეგს:

- აქტივებზე მოთხოვნის ელასტურობა;
- გაყიდვისთვის საჭირო მოსალოდნელი დრო;
- პოტენციური ბაზრის მონაწილეთა დაფინანსების ხარჯები, საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

22 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საწესდებო კაპიტალს, კაპიტალში კონტრიბუციას და აკუმულირებულ ზარალს.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

კომპანია უზრუნველყოფს კაპიტალის მართვას ისე, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირება.

ათასი ლარი	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
სულ კაპიტალი	17,927	24,905
დამატებული: სუბორდინირებული სესხი	-	-
გამოკლებული: ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები	(2,127)	(4,156)
კაპიტალი	15,800	20,749
სულ კაპიტალი	17,927	24,905
სესხები	10,625	-
სულ დაფინანსება	28,552	24,905
კაპიტალის დაფინანსებასთან თანაფარდობა	0.55	0.83

23 ბაუთგალისწინებული გარემოებები

23.1 ბიზნეს გარემო

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. მომავალი ეკონომიკური განვითარებისათვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე, ცენტრალიზებულ ეკონომიკურ ბაზართან, რეგიონალურ არასტაბილურობასა და საერთაშორისო კრიზისთან ერთად.

კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაში, შეიძლება შეეხოთ საქართველოსთან მოთანამშრომლე ქვეყნებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიაზეც, მაგალითად რეალიზაციაზე, ფონდების მოძიებაზე და ა.შ. ყველა ამ პრობლემამ შეიძლება მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნას ლიკვიდურობის თვალსაზრისით, და შეიძლება დადგეს მისი სიცოცხლისუნარიანობის საკითხი. უფრო რთულ საბაზრო კრიზისის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკა და კომპანიის მდგომარეობა, შეიძლება გაუარესდეს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მანქანებლები მრავლადაა, ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ იდგმება შესაბამისი ზომები კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით.

23.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანია სრულად ვერ აზღვევს საწვობებს, დანადგარებს, ბიზნესის გამართულ მუშაობას, მესამე მხარის მიმართ ვალდებულებებს და ბუნებრივი მოვლენების შედეგად მიღებულ ზიანს. სანამ კომპანია ადეკვატურად დაეზღვევა, არის რისკი რომ, ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

23.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარსებულ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი კომპანიაზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	გრძელვადიანი სესხები	სულ
2017 წლის 1 აპრილი	-	-
ფულადი ნაკადების მოძრაობა		
სესხის დაფარვა	(4,763)	(4,763)
სესხის აღება	20,722	20,722
არაფულადი ნაკადების მოძრაობა		
სამართლიანი ღირებულება	(4,785)	(4,785)
დარიცხული პროცენტი	488	488
საკურსო სხვაობა (მეტობა)/დანაკლისი	(1,037)	(1,037)
2018 წლის 31 დეკემბერი	10,625	10,625

25 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დედა კომპანია, სხვა კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ და ძირითადი ხელმძღვანელობა.

25.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს “Retail Group Georgia”. შპს “Retail Group Georgia”-ს აქციონერები არიან: “Advanced Retail International Co United Kingdom of Saudi Arabia”, რომელიც ფლობს სემების 80%-ს, 20%-ის მფლობელს კი წარმოადგენს “International Fashion Trading Limited, United Kingdom of Saudi Arabia”. საბოლოო მკონტროლზე მხარეს წარმოადგენს “Fawaz Abdulaziz Al Hokair & Co., United Kingdom of Arabia”.

25.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ათასი ლარი

ტრანზაქციები	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
<i>კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ</i>		
საქონლის რეალიზაცია	2,982	3,1367
მარაგების შესყიდვა	352	1,086
საპროცენტო ხარჯი	488	-
სესხის მიღება	20,722	-
სესხების დაფარვა	4,763	-
<i>დედა კომპანია</i>		
შვილობილი კომპანიებიდან მიღებული მენეჯერული მომსახურების შემოსავლები	1,329	1,487

ათასი ლარი

ბალანსები	2018 წლის 31 მარტი	2017 წლის 31 მარტი
<i>კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ</i>		
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	369	511
მიღებული სესხები	10,625	-
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	352	795

26 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

როგორც შენიშვნა 3.1-შია აღწერილი 2017 წლის 1-ლი აპრილიდან 2018 წლის 31 მარტამდე პერიოდში კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. აქედან გამომდინარე, კომპანია 2017 წლის 1-ლი აპრილიდან გადავიდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს).

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*. კომპანიამ განახორციელა ყველა კორექტირება ფასს-ების შესაბამისად. სხვა დამატებითი კორექტირება კომპანიის მხრიდან საჭირო არ გამხდარა. ფასს-ებზე გადასვლის შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია ქვემოთ.

ზოგადი საკითხები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს 3 ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების 2 ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის 2, კაპიტალში ცვლილების 2 ანგარიშგებას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს შესადარის ინფორმაციასთან ერთად.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფასს-ის შესაბამისად ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირველად მომზადდა არაპირდაპირი მეთოდით, რომლის მიხედვითაც მოგება-ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსულში ან მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადებთან.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების პირველად მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ახალი და გადახდილი სტანდარტები, რომელიც წარმოდგენილია შენიშვნა 2.5-ში, ისევე როგორც პირველად გამოყენების მიზნებისთვის თანდართული სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები, რომელიც მოიცავს ფინანსური რისკის მართვის მიზნებსა და პოლიტიკას (იხ. შენიშვნა 19 და 20).


მმართველობითი ანგარიში

2017-2018 ფინანსური წელი

მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები:


უფლებამოსილი წარმომადგენელი

ჯეიმს ჯოზეფ მაკ ნიკოლასი



ფინანსური მენეჯერი

ფიქრია გვიშიანი



FASHION RETAIL GEORGIA L.L.C.



შპს Fashion Retail Georgia შპს „Retail Group Georgia-ს შვილობილი კომპანიაა.

შპს „Retail Group Georgia მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი და მრავალფეროვანი პორტფოლიოს მქონე Alhokair Fashion Retail-ის დაქვემდებარებაში მყოფი კომპანიაა, რომლის სათავე ოფისი საუდის არაბეთში მდებარეობს. Alhokair-ი 90-მდე ბრენდს აერთიანებს, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ბალკანეთის ქვეყნებსა და ამერიკაში 2 000-ზე მეტ მაღაზიას უძღვება. ჯგუფის ოფიციალური ვებ საიტია <http://www.fawazalhokairfashion.com/>.

Alhokair-ი საქართველოს ტერიტორიაზე ფლობს სავაჭრო ნიშანზე უფლებას ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების ისეთ ბრენდებზე, როგორიცაა Marks&Spenser, Mango, Us Polo, Charles & Keith, Monsoon, Flormar, Aldo, F&F, GAP, Banana Republic, Clarks, Promod, Zara Inditex დაქ სხვ. სავაჭრო ობიექტების მართვა ხორციელდება ფრენჩაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების ყველა მოთხოვნის დაცვით.

შპს Retail Group Georgia-ს დამფუძნებლებს წარმოადგენენ შემდეგი იურიდიული პირები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Advanced Retail International Co., საუდის არაბეთის სამეფო, , 101028295 -80% წილის მესაკუთრე და International Fashion Trading Limited A010/04/11/3277, არაბთა გაერთიანებული საემიროები - 20% წილის მესაკუთრე. მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 3 წევრისგან, ხოლო წარმომადგენლობით/ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.

დანარჩენი 9 კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია შპს „Retail Group Georgia“ – 100% წილის მესაკუთრე. ეს კომპანიებია:

FASHION RETAIL GEORGIA L.L.C.

a subsidiary of
ALHOKAIR  **الحكير**
Fashion Retail

Retail Group Georgia-ს შვილობილი კომპანიები	ბრენდის დასახელება	სავაჭრო მოლი	გახსნის დღე	ფართი (კვ.მ)	დასაქმებულ თა საშუალო რაოდენობა
Retail Group Holding	Oysho	Eastpoint	7-Apr-12	224.00	7
Fashion Retail Georgia	Aldo Accessories	Eastpoint	12-Sep-15	68.80	5
	Aldo	Eastpoint	12-Sep-15	194.70	5
	Aldo	Tbilisi Mall	7-Apr-12	145.00	6
	Charles & Keith	Eastpoint	12-Sep-15	117.30	5
	Charles & Keith	Tbilisi Mall	7-Apr-12	149.00	5
	Clarks	Tbilisi Mall	14-Jul-12	108.00	4
	Flormar	Eastpoint	12-Sep-15	40.90	5
	Flormar	Tbilisi Mall	30-May-14	49.00	5
	Jennyfer	Tbilisi Mall	25-Oct-12	122.00	5
	Lasenza	Tbilisi Mall	7-Apr-12	168.00	5
	La Vie En Rose	Tbilisi Mall	8-Apr-12	135.49	4
	Lipsy	Tbilisi Mall	9-Apr-12	170.00	4
	Mango	Eastpoint	19-Sep-15	1,372.40	23
	Mango	Tbilisi Mall	4-Sep-15	599.00	16
	Miss Selfridge	Tbilisi Mall	18-Nov-12	152.00	4
	Promod	Tbilisi Mall	19-Nov-12	188.00	6
	Quiz	Tbilisi Mall	20-Oct-12	110.00	5
	Sgt. Major	Eastpoint	12-Sep-15	86.00	4
	Sgt. Major	Tbilisi Mall	11-May-12	130.00	5
	Spring	Tbilisi Mall	13-Sep-12	88.00	5
	Tape A l'oeil	Eastpoint	12-Sep-15	184.80	5
	Tape A l'oeil	Tbilisi Mall	23-May-14	204.00	5
	Topshop	Tbilisi Mall	24-Nov-12	804.00	8
	The Children's Place	Eastpoint	2-Oct-15	326.00	4
	US Polo	Eastpoint	12-Sep-15	263.90	5
	US Polo	Tbilisi Mall	7-Apr-12	197.00	5
	Wallis	Tbilisi Mall	21-Nov-12	159.00	4
	Ziddy	Eastpoint	12-Sep-15	273.60	5
	Ziddy	Tbilisi Mall	12-Dec-14	204.00	6
	2 Go	Gldani Mall	21-Oct-17	582.50	11
	2 Go	Batumi Central	20-Apr-18	737.30	10
Spanish Retail Georgia	Zara	Eastpoint	11-Sep-15	2,211.50	46
	Zara	Merani Mall	10-May-13	1,920.00	56
	Zara	Tbilisi Mall	7-Apr-12	1,975.00	57
Global Apparel Georgia	Banana Republic	Tbilisi Mall	21-Jun-12	395.00	6
	GAP	Tbilisi Mall	14-Jul-12	663.00	9
Mega Store Georgia	Stradivarius	Eastpoint	12-Sep-15	434.80	11
	Stradivarius	Tbilisi Mall	7-Apr-12	293.00	12
Master Retail Georgia	Massimo Dutti	Eastpoint	12-Sep-15	864.70	10
	Massimo Dutti	Merani Mall	26-Apr-13	605.00	13
	Massimo Dutti	Tbilisi Mall	7-Apr-12	555.00	14
Pro Retail Georgia	Pull & Bear	Tbilisi Mall	7-Apr-12	559.00	16
Best Retail Georgia	Bershka	Eastpoint	11-Sep-15	922	11
	Bershka	Tbilisi Mall	7-Apr-12	732	14
Master Home Retail	Zara Home	Tbilisi Mall	2-Feb-18	468.00	12

FASHION RETAIL GEORGIA L.L.C.



წარმომადგენლობით/ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი. დამფუძნებლები/პარტნიორები ფლობენ კომპანიის წესდებითა და საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2017-2018 ფინანსურ წელს შპს „Fashion Retail Georgia“-ში დასაქმებულია 190 ადამანი, ფლობს 32 სავაჭრო ობიექტს და წარმოადგენს 21 ცნობილ ბრენდს.

2012 წლის აპრილში დედაქალაქში ერთდროულად გამოჩნდა 15-ზე მეტი ცნობილი ბრენდის მაღაზია, რომელთა პროდუქციაც ქვეყნის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი მანამდე მხოლოდ ონლაინ მაღაზიებით ან სულაც სხვა ქვეყანაში მოგზაურობის საშუალებით იყო შესაძლებელი. ამ მნიშვნელოვანი ცვლილებით გაიხსნა ახალი შესაძლებლობა საქართველოში, როგორც რიგირთი მომხმარებლების, ისე მთელი საცალო სავაჭრო სექტორისთვის. ამ მასშტაბური ცვლილების ავტორი არის კომპანია Retail Group Georgia. ჯგუფმა განახორციელა ათობით მილიონი ლარის ინვესტიცია, წარმოდგენილია დედაქალაქის 3 სავაჭრო მოლში, დაასაქმა 700-დე მოქალაქე და იმედი გვაქვს, რომ ტენდენცია ასეც გაგმელდება ჩვენი კომპანიის ზრდისა და განვითარების პარალელურად. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში არაერთხელ გვადიარეს ჩვენი მაღალი სტანდარტების გამო ქართულ ბაზარზე, გადმოგვეცა არერთი საერთაშორისო ჯილდო. მომდევნო წლებში არა მხოლოდ თანამშრომლების რიცხვის გაზრდას ვგეგმავთ, არამედ - ბრენდებისაც. ასევე, განიხილება ახალი მაღაზიების გახსნაც ახალ სავაჭრო მოლში.

ბოლო ორი წლის განმავლობაში პერმანენტულად მიმდინარეობს მარკეტინგული ღონისძიებები პრომო აქტივობების მხარდასაჭერად, ახალი სეზონის, ფასდაკლების ანონსირების, ბრენდების ბაზარზე პოზიციონირებისთვის. მარკეტინგული აქტივობები მიმდინარეობს როგორც მაღაზიებში, ასევე მოლებში, ონლაინ არხებით, სოციალური მედიის საშუალებით (ფეისბუქი, ინსტაგრამი), ტელევიზიით საერთაშორისო ბრენდების სეზონური გაიდლაინების შესაბამისად და ლოკალური ბაზრის სპეციფიკაციის გათვალისწინებით.

ასევე, კომპანია პარტნიორულ პროექტებს ახორციელებს სხვა ბიზნეს სუბიექტებთან - საქართველოს ბანკთან, თბილისი მოლთან, ისთ ფოინთთან, მერანი მოლთან ერთობლივი პროდუქტებისა და აქციების მხარდაჭერით, მედიასთან - პრინტ, ონლაინ და ტელე გადაცემებში ბრენდების და კომპანიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი პარტნიორული პროექტი სხვადასხვა მიმართულებით: ორგანიზაცია “თრიფექსთან” თანამშრომლობით Retail Group Georgia-მ თავისი წვლილი შეიტანა ბორჯომის ტყის აღდგენაში, ოფისში განთავსებულ მწვანე ყუთში ხდება ქაღალდის მოგროვება და მისი გადასამუშავებლად გაგზავნა, კომპანიის ბრენდების კოლექციების ჩვენება მოეწყო სავაჭრო ცენტრ ისთ ფოინთში დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაცია “მზის შვილების” ბენეფიციარებმა, ვითანამშრომლეთ დიმიტრი ცინცაძის ფონდთან და ფონდ “ბილივთან”, მონაწილეობა მივიღეთ წითელი ცხვირების აქციაში. კომპანია თანამშრომლობს ორგანიზაცია “ახალი ცხოვრების შანსთან” და თავის სტრუქტურაში ასაქმებს მათ ბენეფიციარებს, ასევე ხელს უწყობს მათ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაში. ამ უკანასკნელი პროექტით კომპანია ნომინირებული იყო საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურს “მელიორა 2018-ზე” კატეგორიაში “სექტორთა თანამშრომლობა”.

FASHION RETAIL GEORGIA L.L.C.



როგორც ავღნიშნეთ, ჯგუფს საქართველოში დასაქმებული ყავს 700-დე ადამიანი. შპს Fashion Retail Georgia-ს შრომითი ხელშეკრულება სრულიად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან, ეთიკის ნორმებთან და შრომით კანონმდებლობასთან. არ არსებობს პუნქტი რომელიც აუარესებს შრომითი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, პირიქით მაქსიმალურად იცავს დასაქმებულის ინტერესებს. სასამართლო დავის რისკები დაყვანილია მინიმუმამდე, რადგან ჩვენ ყოველთვის ვიცავთ დასაქმებულების ინტერესებს და მაქსიმალურად ვცდილობთ მათი ცნობიერების გაზრდას მათივე უფლებების შესახებ. დასაქმებულებს მკაფიოდ განსაზღვრული აქვთ შინაგანაწესი და ღირებულებები, მათი შესრულების საკვანძო მაჩვენებლები წლის დასაწყისში თანხმდება მათთან (KPI), ხელმოწერით დასტურდება და მასზე დაყრდნობით ეძლევათ შესრულებაზე უკუკავშირი.

ამასთან, მუდმივად ვიღებთ რეკომენდაციებს როგორც ლეგალური შიდა წყაროებიდან, ისე საკონსულტაციო კომპანიისგან, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს ნებისმიერი საკადრო რისკი დაყვანილი იყოს მინიმუმამდე. კომპანია ყოველ წელს ატარებს კმაყოფილებისა და ჩართულობის სრულფასოვან გამოკითხვას, რათა გაიგოს დასაქმებულთა კმაყოფილების დონე და გამოარკვიოს ის ასპექტები და საჭიროებები, რომელიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. ასევე, პერიოდულად ვატარებთ სახელფასო კვლევებს, რათა გავარკვიოთ თუ რამდენად კონკურენტული დასაქმების პირობები გვაქვს.

ჩვენი მთავარი კონცეფცია ასეთია: ავიღოთ საუკეთესო საერთაშორისო მოდის ბრენდები, მათი პრინციპები და ეს ყველაფერი გავაზავოთ ადგილობრივ ბაზარზე დაგროვებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან, რასაც ამავე ბაზარზე გამოცდილებამიღებული კადრები ფლობენ. ამიტომაცაა, რომ ყველაზე წარმატებული მსოფლიო ბრენდები სწორედ ჩვენ გვირჩევენ პარტნიორობად.

კომპანია, რომელიც ხუთ უცვლელ ფასეულობაზე დგას (ნდობა, ჯანსაღი დისკუსია, ერთგულება, ანგარიშვალდებულება და შედეგზე ზრუნვა), ექვსი წლის თავზე საკუთარ თავს ასე ხედავს: განვითარების პროცესი, ცხადია, გრძელდება და ეს მუდამ გააზრებული გვაქვს. ბაზრის კვლევას - მოდის ტენდეციების ცვლილებას, მომხმარებლების ჩვევების შესწავლას კომპანია დღემდე დიდ დროს უთმობს. სწორედ კლიენტებთან დამყარებული უკუკავშირის საფუძველზე ვახერხებთ გავითვალისწინოთ მომხმარებლის ინტერესები, დავამკვიდროთ ვაჭრობის სფეროში მომსახურების ნოვატორული სტანდარტი და მსოფლიო ტენდენციების ფეხდაფეხ შევთავაზოთ ქართველ მომხმარებლებს მუდმივად განახლებული კოლექციები, სპეციალური აქციები, ფასდაკლებები, სასაჩუქრე ბარათები, აუთლეტები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი).

2018-2019 ფინანსური წლისათვის კომპანია გეგმავს ბრიტანული ბრენდის Monsoon-ის შემოყვანას ქართულ ბაზარზე და 2 ახალი მაღაზიის გახსნას, სადაც დასაქმდება 14 ადამიანი. ბრენდი გამორჩეული ხარისხისა და სტილის სამოსსა და აქსესუარებს სთავაზობს მომხმარებლებს. Monsoon&Accessorize უახლესი კონცეფციის მაღაზიები თბილისის მოლსა და ისტ ფონთში გაიხსნება და როგორც მსოფლიოში წარმოდგენილ ანალოგიურ მაღაზიებში, თბილისშიც კოლექციები ყოველკვირეულად განახლდება.

ასევე, დაგეგმილია პოლონური ბრენდის F&F-ის 2 მაღაზიის გახსნა და დამატებით 14 ადამიანის დასაქმება.

2019-2020 ფინანსური წლისათვის შპს Fashion Retail Georgia გეგმავს შემოსავლების 6%-ით გაზრდას და 9 მაღაზიის გახსნას ახალ სავაჭრო მოლში (1 523.22 კვ.მ), ქალაქის ცენტრალურ უბანში. ჯამური კაპიტალური დანახარჯის მოცულობა შეადგენს 2.00 მილიონ ევროს, დასაქმებულთა რაოდენობა - 60 ახალი თანამშრომელი.

მომავალი ფინანსური წლის მთავარ გამოწვევად რჩება გამძაფრებული კონკურენცია და ბაზრის წილის ზრდა. როგორც ვხედავთ, საქართველოს ეკონომიკა იზრდება ვალუტის კურსის მკვეთრი მერყეობით და ფასების ზრდის თანხლებით. სავალუტო რისკი ჩვენი ჯგუფისთვის წარმოადგენს დანაკარგების შესაძლო საფრთხეს, რაც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის (აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი) კურსის ცვლილებით ლართან მიმართებაში, რაც წარმოიქმნება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების განხორციელებისას. კომპანიას ჩამოაყალიბებული აქვს სავალუტო რისკის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რისკის გაზომვის, კონტროლირებისა და მისი გავლენის მინიმუმამდე დაყვანას. მაგალითად, ექსპორტის შემთხვევაში (სომხეთი, აზერბაიჯანი) თუ გვაქვს მოლოდინი, რომ მისაღები ვალუტა გაუფასურდება რამოდენიმე კვირაში, ვითხოვთ გადასახდელი თანხის დაუყონებლივ მიღებას. იმპორტის შემთხვევაში, თუ გვაქვს მოლოდინი, რომ ადგილობრივი ვალუტა გაუფასურდება, ბრენდ პარტნიორებთან მოლაპარაკებების გზით ვცდილობთ გადასახდელი თანხის გადავადებას. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია შეთანხმებით (დაკავშირებულ მხარეებთან) ან საკრედიტო ვადების გაზრდით.

რაც შეეხება სხვა რისკებს, კომპანიის მთავარი გამოწვევად რჩება ის სავაჭრო ობიექტები და აუთლეტები, რომლებიც ვაჭრობენ ისეთი ბრენდებით, რომლებზეც ფრანშიზული შეთანხმება საქართველოს ტერიტორიაზე აქვს მხოლოდ Retail Group Georgia-ს ჯგუფში შემავალ კომპანიებს. რა თქმა უნდა ასეთ კომპანიებს გარდა იმისა, რომ ეწევიან არაკანონიერი გზით სხვადასხვა ბრენდების რეალიზაციას, არ აქვთ ის უპირატესობები, რომელსაც ჩვენ, როგორც ფრანჩაიზი ვიღებთ ბრენდ პარტნიორისგან: ექსკლუზიურობა, უნიფიცირებული პოლიტიკა და პროცედურები, ცენტრალიზირებული შესყიდვები ფასდაკლებით, მუდმივი კონსულტირება პროდუქციასთან დაკავშირებით, თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

თუ გადავხედავთ მოდის ინდუსტრიაში წამყვანი კომპანიების ტოპ-20 2008 წლიდან 2017 წლის ჩათვლით (ცხრილი 1), ეკონომიკური მოგების თვალსაზრისით პირველ ადგილს იკავებს Inditex-ის ჯგუფი. საქართველოში Retail Group-ის მიერ წარმოდგენილია Inditex-ის ჯგუფში შემავალი შემდეგი ბრენდები: Zara, Massimo Dutti, Pull&Bear, Oysho, Bershka, Stradivarius, Zara Home. ქვემოთ მოცემული წამყვანი კომპანიებიდან ასევე წარმოვადგენთ GAP-ს.

თუ გადავხედავთ ჩვენი ჯგუფის წარმატების დრაივერებს, აღმოვაჩენთ, რომ მთავარი გასაღებია მომგებიანობა და კაპიტალის ეფექტურობა: საშუალოზე მაღალი EBITDA-ს პროცენტულობა და საშუალოზე დაბალი საინვესტიციო კაპიტალის კოეფიციენტი შემოსავალთან მიმართებაში, მაშინ როცა შემოსავლების ზრდა არის შესაბამისობაში სექტორის ფინანსურ კოეფიციენტებთან.


შემოსავლების ზრდასთან ერთად 2018-2019 ფინანსური წლისთვის ჯგუფს დაგეგმილი აქვს 12.7 %-იანი EBITDA, 2019-2020 ფინანსური წლისთვის კი 15.4 %-იანი EBITDA-ს მიღწევა. რაც შეეხება შპს Fashion Retail Georgia-ს 2018-2019 და 2019-2020 წლების პროგნოზი ასეთია: 7.54% და 16.12%-იანი EBITDA შესაბამისად. რაც შეეხება ჯგუფის კაპიტალის კოეფიციენტს სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში, 2017 წლის მარტისთვის შეადგენდა 0.84, ხოლო 2018 წლის მარტის მდგომარეობით - 0.79. 2018 წლის იანვარში დაკავშირებული პირის მიერ შპს Fashion Retail Georgia-ზე გაცემული სესხის (8 მლნ. აშშ დოლარი) სრულად დაფარვა იგეგმება 2018-2019 ფინანსური წლის ბოლომდე.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საწყის კაპიტალს, დამატებით კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგება-ზარალს. 2017-2018 ფინანსურ წელს განხორციელდა კაპიტალში შენატანი, რომელიც მოიცავს სხვაობას შპს Fashion Retail Georgia-ს მიერ მიღებული სესხის ნომინალურ და საბაზრო ღირებულებას შორის. ჯგუფმა აღნიშნული სხვაობა აღიარა, როგორც კაპიტალში შენატანი (4.8

FASHION RETAIL GEORGIA L.L.C.

a subsidiary of
ALHOKAIR  **الحكير**
Fashion Retail

მილიონი ლარი). რაც შეეხება დაკავშირებული მხარეების მიერ გასულ ფინანსურ წლებში განხორციელებულ ტრანზაქციებს, რომლებიც მოიცავს კაპიტალურ დანახარჯების დაფინანსებას, ჯგუფმა აღნიშნული თანხების გადახდა აღრიცხა, როგორც კაპიტალიდან თანხის გამოტანა (14.7 მილიონი ლარი). 2018 წლი 31 მარტი მდგომარეობით ჯგუფის კაპიტალი შეადგენს 88.2 მილიონ ლარს.



ცხრილი 1წყარო:

Mckinsey Global Fashion Index (MGFI)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (2) მოცემულია გლობალური კვლევა მოდის ინდუსტრიასთან დაკავშირებით და მითითებულია 2017-2019 წლების მთავარი გამოწვევები. ჩვენი ბიზნესის წარმატებისათვის ყველა პუნქტი მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარ გამოწვევად რჩება გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირებული არამდგრადობა და კონკურენცია ონლაინ არხებიდან, ასევე მომხმარებელთა პრეფერენციების ცვლილების ტემპი.

ზემოთხსენებული გამოწვევებიდან გამომდინარე, თუ გადავხედავთ ჯგუფის მოგება-ზარალის უწყის, 2017-2018 ფინანსურ წელს შემოსავალი 5% მეტია ვიდრე 2016-2017 ფინანსურ წელს. რაც შეეხება Gross Margin-ს, მან შეადგინა 31% და 36% ფინანსური წლების შესაბამისად. 2017-2018 ფინანსური წელი გჯუფმა მოგებით დაასრულა და პირველად კომპანიის ისტორიაში მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაეცა მენეჯმენტის ბონუსები.

ჯგუფის საქმიანობა სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ხორციელდება. ჯგუფის ყველა წევრს კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში.

ცხრილი 2

	2017	2018	2019	
მთავარი გამოწვევები წლების მიხედვით	ცვალებადობის და არამდგრადობის გადალახვა გლობალურ	ცვალებადობის და არამდგრადობის გადალახვა გლობალურ ეკონომიკაში	ცვალებადობის და არამდგრადობის გადალახვა გლობალურ	გამოკითხულთა 15%
	გაყიდვებისა და მომგებიანობის ზრდა	კონკურენცია ონლაინ და "Omnichannel" არხებიდან	კონკურენცია ონლაინ და "Omnichannel" არხებიდან	გამოკითხულთა 13%
	კონკურენცია ონლაინ და "Pure-play" კომპანიებისგან	მიწოდების ქსელის გაუმჯობესება და დიგიტალიზაცია	მომხმარებელთა უპირატესობების ცვლილების ტემპი	გამოკითხულთა 7%
	მიწოდების ქსელის გაუმჯობესება	მომხმარებელთა ნაკადის (Foot Traffic) შემცირება და "Offline" საცალო ვაჭრობის ზემოქმედება	უკეთესი მდგრადობის მიღწევის და გამჭვირვალობის საჭიროება	გამოკითხულთა 7%
კითხვა: რას ფიქრობთ - რა იქნება ყველაზე დიდი გამოწვევა მოდის ინდუსტრიაში მომავალ წელს?				
	წყარო: BoF-Mckinsey State of Fashion Survey			

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს გრანთ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T. + 995 322 604 406

შპს Fashion Retail Georgia-ს ხელმძღვანელობას

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს Fashion Retail Georgia-მ („კომპანია“) მოამზადა მმართველობის ანგარიშგება 2018 წლის 31 მარტისათვის.

ჩვენ ჩავატარეთ კომპანიის 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2018 წლის 28 დეკემბერს გავეცით ჩვენი დასკვნა, სადაც გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ განოთქმული მოსაზრება არ ეხება იმ სხვა ინფორმაციას რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადა კომპანიამ და წარმოადგენს მმართველობის ანგარიშგებაში. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდამი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნის გაცემის შემდეგ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი უაღრესეულეზაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე:

- გაშოვოქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვედრითობაზე კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- აუდიტის განხორციელების პროცესში კომპანიის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით გავსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და სტატისტიკის შემოსტევაში მიღებული მათი არსი;

- c) შევამოწმოთ, ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

- a) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.
- b) ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არესბით უზუსტობებს წელიწადს იმ შემთხვევაში, თუკი მასში ასახული ისტორიული მონაცემები მშარად ეწინააღმდეგება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით არსებით უზუსტობად მივაჩნევთ, თუკი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას განვსაზღვრეთ, რომ კომპანია საუქმიანობის უწყვეტად გაგრძელება აღარ შეუძლია, ან აქვს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ხოლო მმართველობის ანგარიშგებაში ეს საკითხი არ არის (ან არასაკმარისად არაა) განხილული მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით ჩვენ არ განვსაზღვრავთ არსებობის სხვა კრიტერიუმები. ჩვენს მიერ მოტარებული პირველდურების შედეგად ჩვენ არ შეგვხვედრია არსებითი უზუსტობები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა ჩვენს ანგარიშში მითითების გაკეთება.
- c) მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

ქეთევან ღაბასაიძე

რეგისტრაციული აუდიტორი



2018 წლის 28 დეკემბერი

თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T. + 995 322 604 406

შპს Fashion Retail Georgia-ს ხელმძღვანელობას

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს Fashion Retail Georgia-მ („კომპანია“) მოამზადა მმართველობის ანგარიშგება 2018 წლის 31 მარტისათვის.

ჩვენ ჩავატარეთ კომპანიის 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2018 წლის 28 დეკემბერს გავეცით ჩვენი დასკვნა, სადაც გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეხება იმ სხვა ინფორმაციას რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადა კომპანიამ და წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგებაში. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნის გაცემის შემდეგ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე:

- გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვედნილობაზე კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- აუდიტის განხორციელების პროცესში კომპანიის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი;



- c) შევამოწმოთ, ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

- a) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.
- b) ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არესბით უზუსტობებს შეიცავს იმ შემთხვევაში, თუკი მასში ასახული ისტორიული მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით არსებით უზუსტობად მივიჩნიეთ, თუკი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას განვსაზღვრეთ, რომ კომპანიას საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება აღარ შეუძლია, ან აქვს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ხოლო მმართველობის ანგარიშგებაში ეს საკითხი არ არის (ან არასაკმარისად არის) განხილული. მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით ჩვენ არ განვსაზღვრავს არსებობის სხვა კრიტერიუმები. ჩვენს მიერ ჩატარებული პორცედურების შედეგად ჩვენ არ შეგვხვედრია არსებითი უზუსტობები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა ჩვენს ანგარიშში მითითების გაკეთება.
- c) მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

ქეთევან ღამბაშიძე

რეგისტრირებული აუდიტორი

2018 წლის 28 დეკემბერი

თბილისი